წელიწადი მეორე ფასი 7 კაპ. შაბათი, 24 ქრისტეშობისთვე 1916 წ. № 288

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს" რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело", поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი ... რეზე პეტიტით ღირს 30 კ., ეკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ., 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათისშემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი. დამატებიანი № ღირს ყველგან 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

## ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

**1917 წ.** წელიწადი მესამე

# „საქართველო"

**1917 წ.** წელიწადი მესამე

### ყოველკვირეულ სურათებიან დამატებით

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ჰყავს საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

### გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან:

ავ. აბესაძე, ი. აბულაძე, არქ. ამბროსი (ხელაია), დ. არონიშიძე, ა. ახათიანი, ალ. ახმეტელი, ვ. ბარნოვი, ივ. ბუქურაული,

ეკ. გაბაშვილისა, რ. გაბაშვილი, განდეგილი, გ. გვაზავა, ს. გორგაძე, გ. გორდეზიანი, გ. გუნია, შალვა დადიანი,

ზ. ედილი, ი. ვართაგავა, გრ. ვეშაპელი, ექ. თაყაიშვილი, ინ-ბანი, პ. ინგოროყვა, ჩ. კაპანაძე,

პოლ. კარბელაშვილი, დ. გ. კარიჭაშვილი, დ. კასრაძე, დ. კახელი, ს. კედია, დეკ. კ. კეკელიძე, ნ. კურდღელაშვილი,

Legatus, ეპისკოპოსი ლეონიდე, იას. ლორთქიფანიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. მარგველაშვილი, კ. მაყაშვილი, ი. მაჭავარიანი, დუტუ მეგრელი,

მელანია, შ. მღვიმელი, ნიკო ნიკოლაძე, გ. ჟორდანია, გრ. რობაქიძე, თედო სახოკია, ტ. ტაბიძე, ი. ფერაძე,

შ. ქარუმიძე, ს. ქვარიანი, გ. ქიქოძე, ნ. ყიფიანისა, ხვ. ყიფიანი, გ. ყიფშიძე, მიხ. შალამბერიძე, ვ. შალიკაშვილი,

პროფ. ა. ცაგარელი, აპ. წულაძე, დ. ჭიაბრიშვილი, ზ. ჭიჭინაძე, სტეფ. ჭრელაშვილი, მ. ჯანაშვილი, ლ. ჯაფარიძე, სამხედრო მიმ. ბ-ნი X.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლით—15 მან., ნახევარის წლით 9 მან., სამის თვით 5 მან., ერთის თვით ქალაქში 1 მ. 80 კ.

ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთის თვით ფოსტის საშუალებით არ მიიღება.

არა წლიურ ხელის მომწერთათვ ის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნაანგარიშევი. წლიურ ხელის მომწერთათვის ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება შემდეგის წესით:

ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისათვის 5 მან. და პირველ ივნისისათვის 3 მან.

ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურად, ეს უნდა მოიხსენიოს პირველსავე ხელის მოწერის დროს. ✦ რედაქციის მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ✦ კანტორა ღიაა: დილით 9—3 ს.-დე. საღ. 5—7-დე.

რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო".

მიიღება ხელის მოწერა

---

27 ქრისტეშობისთვეს, სამშაბათს დღეს ქალაქ ფოთის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

## კონსტანტინე იაგორის ძის
# რუხაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქვრივი განსვენებულისა ეფროსინე ილარიონის ასული და შვილი შალვა რუხაძეები. პანაშვიდი ნაწირვებს 12 საათზე.

(2—441—2)

---

ნატალია გიგაური—გაბაშვილისა მეუღლითურთ და დით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24 ქრისტეშობისთვეს დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დასავლეთ ფრონტზე ომში ტრაგიკულად დაღუპულ დაუვიწყარ, ძვირფას ძმის შტ.-კაპიტანის, გიორგის კავალერიის

## ალექსანდრე რაჟდენის ძის
# გიგაურისა

წირვის დასაწყისი 10 ს.,—პანაშვიდისა შუადღის 12 საათზე.

(1—445—1)

---

### მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალი

# „ცხოვრება"-ზე

წელიწადი მესამე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში თანამშრომლობენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები. წლიურად ჟურნალი ეღირება 6 მ., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 75 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ Роману Спиридоновичу Панцхава.

---

### მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის გაზეთ

# „სახალხო ფურცელზე"

გაზეთი სურათებიანი დამატებით ღირს წელიწადში 15 მანეთად, ნახევარი წლით 8 მანეთად, სამი თვით 5 მანეთად.

წლიური ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ხელის მოწერის დროს 7 მანეთი, პირველ აპრილისთვის 4 მან და 1-ლ აგვისტოსთვის 4 მან.

კანტორა ხელის მოწერისათვის ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, „სახალხო ფურცლის" რედაქცია, სასახლის ქუჩა, № 6. Тифлисъ, редакція „САХАЛХО ПУРЦЕЛИ" поч. ящ. 190.

„სახალხო ფურცელში" მონაწილეობას იღებდნენ:

აბაშიძე კიტა, აბაშიძე კოკი, აბაშიძე მემედ, აბესაძე ავ., აგლაძე ი., აზიანი ნ., ბაქრაძე იას., ბებიაშვილი რომ., ბერიძე ვუკოლ, გედევანიშვილი იოს., გველესიანი გრ., გოგოლაშვილი ი., დადიანი სამ., დუბროვსკი ნ., თაყაიშვილი ექ., კოტეტიშვილი ვახ., ლასხიშვილი გ., ლოლიძე გრ., მავრი, მეგრელი დუტუ, მირიანიშვილი პ., რობაქიძე გრ., პაპავა აკ., რაჭველი ქრ., რცხილაძე გრ., სიტყვა, სანგანიძე, უზნაძე დ., ფანცხავა ი., ფაღავა აკ., ღლონტი თ., ყიფშიძე ი., წერეთელი ალ., ჭუმბურიძე გ., პრ.-დ ჯავახიშვილი ივ., ჯანელიძე ალ., ჯაფარიძის თეოდოსია, ჯაჯანაშვილი არ., და სხვა.

დამატებაში. ბარნოვი ვ., ბაჩანა, გრიშაშვილი ი., დადიანი შოთა, ლიხელი დ., მგალობლიშვილი ს., მღვიმელი შ., მჭედლიშვილი ი., რაზიკაშვილი თ., სილოვ ნი, ფაშალიშვილი ს. ქიაჩელი ლეო, ჭიჭინაძე კ., ჭუმბაძე ა., ჯორჯიკია ჯ. და სხვა...

---

# დილის წარმოდგენა
## ახალ კლუბის შენობაში

ორშაბათს, 26 ქრისტეშობისთვეს, ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ ვ. გამყრელიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება: **სამშობლო** დრ. 5 მ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, ქილარჯიშვილი, ბ-ნნი: იმხნელი, ბარველი, გამყრელიძე, გურაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ჩაგუნავა.

ადგილების ფასი 170—30 კ.-მდე. ✦ დასაწ. დილის 12 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

(3—342—2)

---

# „ცისფერი ყანწები"
## დაიბეჭდა.
### მოიკითხეთ კვირას, 25 დეკემბერს.

ვალერიან გაფრინდაშვილი—„ძონძებში".
ი. გრიშაშვილი—„შეშლილი ოთახი".
ელენე დარიანი—„მე და კატა".
პაოლო იაშვილი—„ფარშავანგები ქალაქში", „ქლექიანი მისალმება ზამთარს".
ნ. ლორთქიფანიძე—„ზღაპარი".
ნიკოლოზ ნადირაძე—„ავზნიანი ქალაქი".
გრიგოლ რობაქიძე—ვერის ხიდზე".
ივ. ყიფიანი—„ზამთარი".
გრ. ჯაფარი—„ოცნება ფირუზისფერი".
ლელი ჯაფარიძე—„ორსული მზე".
ალ. ცირეკიძე—„მთვარეული".
ა. ჭუმბაძე—აეროპლანზე".
ტიტე ტაბიძე—„ქალდეას ქალაქები".
ტიტე ტაბიძე—„ცისფერი ყანწებით".

ფასი ერთი მანეთი.

იყიდება ახალ კლუბთან სიმონას კიოსკში.

---

## Открыта подписка на 1917 г.
(Годъ изданія девятый)
### На ежедневную газету
# „ЗАКАВКАЗСКАЯ РѢЧЬ"

**Подписная цѣна** съ доставкой и пересылкой: на одинъ годъ 15 р. на полгода 8 р., на одинъ мѣс. 1 р. 50 к.

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка: при подпискѣ 5 р., 1-го апрѣля 5 р., 1-го Іюля 5 р.

За границу—ВДВОЕ ДОРОЖЕ.

Плата за объявленія: строка петита впереди текста 20 коп., послѣ текста 15 к., Извѣщенія о зрѣлищахъ впереди текста—30 к., Перемѣна адреса съ городского на иногородный 75 коп., съ иногороднаго на иногородный 50 коп. Объявленія внѣ предѣла Кавказа впереди текста 30 к., позади—15 коп.

**Подписка принимается съ 1-го по 1-ое число каждаго мѣсяца.**

Подписка марками не принимается.

Контора газ. „Закавказская Рѣчь" открыта отъ 10—2 ч. дня и 7—8 ч. веч.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газеты „Закавказская Рѣчь", Дворцовая ул. д. Д. З. Сараджева, для телег. Тифлисъ „Закавказская Рѣчь".

Траурныя объявленія принимаются въ конторѣ редакціи до 3 ч. дня по 6 р., послѣ 3 час. въ типографіи «Сорапань» [Мадатовскій островъ № 1) на 1 р. дороже.

Редакторъ Кн. К. П. Тумановъ.
Издатель Э. Д. Горделадзе.

---

### ქ. თბილისში დაარსდა
# მელნის ქარხანა
# „ალაროდია"

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,

## ალიზარინის ფერისას

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ-ორ გირვანქიან ბოთლებით.

დაზარალებულ ლ სამხედრო დაწესებულებათ შეღავათიით დაეთმობათ.

მელანი პირის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება

ადგილობრივ თუ გაგზავნით.

საჭიროა აგენტები, როგორც თბილისში, აგრეთვე სხვა დაბა ქალაქებშიაც.

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია".

(თ.—228—თ.)

---

### დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში გამოვა
სამხატვრო-სალიტერატურო კრებული

# საფირონი

კრებულში მონაწილეობას იღებენ:

ალ. ახმეტელი, ბაბილინა, განდეგილი, შალვა დადიანი, მოსე თოიძე, თ. იანელი, ინ-ბანი, დ. კასრაძე,

გ. ლეონიძე, კ. მაყაშვილი, შიო მღვიმელი, გ. მუმლაძე, ნარკანი, აკაკი პაპავა, ტრ. რამიშვილი, ს. ფაშალიშვილი,

ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სანდრო შანშიაშვილი, ვალ. შალიკაშვილი, ლელი ჯაფარიძე, მ. ჭიაურელი, და სხვ.

მისამართი: თბილისი. ნიკოლოოზის ქ. № 7. სანდრო შანშიაშვილს.

პროვინციის აგენტებმა წინდაწინვე უნდა გვაცნობონ, თუ რამდენ ეგზემპლიარს გაიწერენ.

რედაქტორ-გამომცემელი გ. ლეონიძე.

---

### გამოცემა „ამხანაგობისა"

გამოვიდა ლ იყიდება ყველგან

# „ბედი ქართლისა"
## ნიკ. ბარათაშვილის
### სრული ფაქსიმილე

ფასი ერთი მანეთი.



წიგნი წარმოადგენს სრულს ასლს ნ. ბარათაშვილის ხელნაწერისას (ვეზირიშვილის ვარიანტი).

ვისაც ფოსტით უნდა გამოწერა, უნდა მიმართოს: Тифлисъ Бол. Ванкская № 12. ივანე მათეს ძეს ნაცვლიშვილს.

---

„სავაჭრო სახლი" (საწყობი)

# ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
# ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იხყიდება პარტიებით ყოველნაირი საგალანტერეიო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები, თეთრეულობა, ვიშივკები, კოსმეტიკა და სხვა და სხვა ახალმოდის საქონლები ხელმისაცემ ფასებში სხვა და სხვა სოფლის კოოპერატივებისთვის.

(101—წ.)

მიიღება 1917 წ. ხელის მოწერა

# თეატრი და ცხოვრება

ერთად ერთი სამხატვრო-სალიტერატურო—სათეატრო ჟურნალი, № 52.

შინაარსი: 1. ივ. გომართელი—კრიტიკის შობა; 2. ხ. ვარდოშვილი—ექ, ვინ მოიცდის! 3. ლ. ძიძიგური—სევდის ჰანგები, წაქცეული მუზა; 4. პაროდი ... 5. დავ. კლდიაშვილი ... 6. გუგული—ახალი. ... 12. სოლოვიანი—ალექ. გარს. ... (დასასრული). 13. სახიობა, წერილი ამბები.

ფასი: ... 8 მ. 50 კ., ... 15 კ. გამოწერა მიიღება ასე: Тифлис, Ред. „Театри да цховреба", Іос. Имедашвили (1—448—1)

# საბურთალოზე

(საგამოფენო თბილისის აგარაკი)

## სამოსახლოების მყიდველთა საყურადღებოთ

ჩვენ დავსწერდით და გავაწყოდით ადგილები, ძლიერ იაფად ... 1917 წლის ...

(10—418—10)

ექიმი
## ფონ-ირტელი
(მიხეილის პროსპ. 128, კოლოვის ქუჩის კუთხე, 1, შესვლა კოლოვის ქუჩიდან, სახლი ოთარშვილისა).
...
„914" და „606"
შეზხაპუნება

ექიმი
### მ. ი. ჯაჯანაძე
... ოლღას ქ. № 4. (თ.—202—)

ექიმი
### კ. ი. ჯავახიშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ... 6—7 ს., ... ქ. № 4, ... ტელეფ. 15—00.

ექიმი
### მ. გ. ვეფხვაძე
... 3—5 ... ქუჩა, № 19.

ახალი აფთიაქი

ექიმი
### გ. მ. მუხაძე
მოსკოვში წასვლის გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა 28 ქრისტეშობისთვემდის.

დოქტორი მედიცინისა
### კალანდარიშვილი
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებთან ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

## გაზეთ „საქართველო"-ზე გაქოში ხელის მოწერა მიიღება:

1) ძმათა გოსტოღლანაშვილების მაღაზიაში,
2) ალექსანდრე სიმონის ძე ლორთქიფანიძესთან (კრასნოვოდსკაია ქუჩა, № 10, ტელეფონი 47—90).


# სომეხთა გლადსტონები

პოლიტიკაში თვალთმაქცობას, მატყუარობას და კიდევ სხვა ასეთს ფანდებს ხშირად მიჰმართავენ ხოლმე. ასეთია ბუნება პოლიტიკურ ვითარებისა, ასეთია ზნე და ადათი მისი.

მაგრამ პოლიტიკაც არის და პოლიტიკაც. ამ ხელოვნებაში გაწრთვნილი ხშირად ისეთის იდუმალის ზეწრით გადაბურავს თავის ზრახვას და სულის კვეთებას, რომ ვერას მიხვდებით. თქვენ, რომ სამარეს გითხრიან, გეგონებათ, სასახლეს გიგებენ და გიმზადებენო.

პოლიტიკის ესრეთი ხელოვანნი, რომ იტყვიან, რწყილს ისე გაატყავებენ, რომ მან ვერც-კი გაიგოს-რა. სამწუხაროდ, ასეთი პოლიტიკოსები არამც თუ ჩვენს ქვეყანას, არამედ დაწინაურებულ და დაწყობილ ქვეყნებსაც ძვირად წარმოუშვია.

ვკოჭლობთ პოლიტიკაში, ძლიერ ვკოჭლობთ. სამწუხაროა, სავალალო და ჩვენც გვმართებს წრთვნა და მეცადინეობა, რომ თანამედროვე ურთიერთობის მძლავრი იარაღის ხმარება ვისწავლოთ და შესაფერისადაც გამოვიყენოთ.

არც ჩვენი „მეზობლები" არიან ამ მხრივ ბედნიერნი. პოლიტიკოსობას მათში თუმცა ყველა ეწევა—სულ ერთია, თუ ვინ იქნება: აზრუმელი ბაყაყი თუ თბილისის „ღალავა", მაგრამ გლადსტონები მათაც ძლიერ ცოტა ჰყავთ, სულ თითებზე ჩამოსათვლელი.

მაგრამ ერთი ზნე სჭირთ ამ პოლიტიკოსებს ისეთი, რომ, ვეჭობ, მათ აწი მაინც არამც თუ რწყილის, არამედ კამბეჩის გატყავება მოახერხონ ფარულად და შეუმჩნევლად. ხატისოვი რომ მოქარგულად ძმობა-სიყვარულს გეფიცებათ სომხის ერის სახელით, შახატუნიანი საიდუმლოთ გიმჟღავნებსთ, რომ ქართველობა სომხებს არც ისე მხურვალედ უყვარსთ, რომ მის მეგობრობისათვის თავისი „ანგარიშები" დაივიწყონ. გიორგი თუმანოვი რომ გარწმუნებსთ, სომხობას ერობაში ეროვნული განზრახვები კი არ შემოაქვს, არამედ დემოკრატიული იდეალები და პროგრესიობა, შახატუნიანი აქაც არ დაგიმალავსთ—რა უყოთ, თუ თბილისის გუბერნიაში სომხური ერობა გვინდა, ხომ ქართველებსაც ექმნებათ ქართული ერობა ქუთაისის გუბერნიაშიო!

სომხურ პოლიტიკის ზნე და ხასიათი სავსებით გამოამჟღავნა საერობო თათბირმა და ამ თათბირის გარშემო ატეხილმა აურ-ზაურმა.

საერობო თათბირს თავიდანვე მეტად მშვიდობიანი ამინდი დაჰყვა. არარატის მწვერვალი ისე მხიარულად გამოიყურებოდა, თითქოს ნოეს კიდობანი ხელმეორედ ასულიყოს მის თავზე.

ხატისოვი, გ. თუმანოვი და კიდევ სხვანი მხოლოდ იმას ქადაგებდენ კალმით თუ სიტყვით, რომ ამიერ-კავკასიას სწყურიან ერობა, სწყურიან მისი დაუყოვნებლივ, შემოღება და განხორციელებაო.

თვით თათბირს რამოდენიმე წინასწარი თათბირი უსწრობდა. სომეხი პოლიტიკოსები თუმცა ხანდახან ბუნდოვან და ორაზროვან წინადადებებსაც კი წამოაყენებდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ წინასიტყვაობა იყო. მხოლოდ თვით თათბირზე დაირაზმნენ სომეხთა წარმომადგენელნი, და ამის შემდგომ მტკიცედ და შეურყევლად სდგას ეს ლაშქარი თავის პოზიციაზე. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი დიდს სიმტკიცეს იჩენენ. მაგრამ პოლიტიკა? დაიღუპა ამის შემდგომ სომეხ გლადსტონთა პოლიტიკა და დიპლომატიური მათი ენა-მოქარგულობა შახატუნიანის და „ორიზონის" ბრძოლის ძახილმა დაიკავა.

აი ახლაც გამოდის ა. შახატუნიანი „კავკაზსკოე სლოვოს" ფურცლებზე. ის უკვე აღარ მალავს, რომ ამ ერობის შემწეობით სომხებს კიდევ სხვაგვარ ყურდღლის დაჭერა მოუნდომნიათ. ვინ იცის ერობას შემოიღებენ თუ არა და ან როდის. მაგრამ ერობის შემოღებამდის საჭიროა ისეთი გადამიჯვნა კავკასიის, რომ სომხური ელემენტი შეჯგუფებული დარჩეს და ადმინისტრატიულ ერთეულებში ხელსაყრელად განაწილებული. ამის პროექტი, უკვე კარგახანია, დაუმზადა მათ გ. გ. ევანგულოვმა. ეს გეგმა მოითხოვდა, რომ თბილისის გუბერნიას ჩამოსჭროდა ახალქალაქის მაზრა., ბორჩალოსა, ახალციხის ნაწილი. ეს და განჯის გუბერნიის რამოდენიმე მაზრა, ეს უდიდესი ტერიტორია შეადგენდა ერევნის გუბერნიას. ამ პროექტით ერევნის გუბერნიის საზღვრები ნავთლუღში გაივლიდა, ქ. თბილისზე რამოდენსამე ვერსტზე. ამის შემდეგ არ გაძნელდებოდა თვით ქ. თბილისის შეტანა ერევნის გუბერნიად წოდებულ სომხურ სამფლობელოში.

რომ საერობო თათბირი მათ ამ მიზნებისთვის უნდოდათ გამოეყენებინათ, ამას აქამომდე არ ამხელდენ. როდესაც საერობო თათბირზე მათ უსაყვედურეს—თქვენ გინდათ ისეთი საერობო ერთეულები შექმნათ, რომელნიც ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ადმინისტრატიულ განაწილებას არ ეთანხმება და, ალბათ, ამის შემდგომ, მოითხოვთ კავკასიის ადმინისტრატიულ გადამიჯვნასო, მათ, ტერ-არაქელოვისა და გ. თუმანოვის პირით ყველას ეფიცებოდნენ — ევანგულოვის პროექტს ჩვენ სრულებით არ ვემხრობით და ასეთი რამ განზრახვები ჩვენ არ გვაქვსო.

ამის შემდეგ ბევრი რამ გამოიცვალა, ბევრი პოლიტიკური ოფლი ედინაო ჩვენის მეზობლების გლადსტონებს. თათბირზე მათს განზრახვებს ყველა აუმხედრდა:—ქართველი, რუსი, მუსულმანი. აქ გარიყულებს გული არ გასტეხოდათ. მათ დემოკრატიული მოსასხამი წამოისხეს და პროგრესიულ რუსეთს თვალცრემლიანებმა შესჩივლეს:

დაგვიფარეთ, დაგვიცავით—თავით ფეხებამდე შეიარაღებული ქართველი თავად აზნაურობა და თათრების ბეგები შეჭმას გვიპირებენო. „პროგრესიული" რუსეთი, როგორც მოგეხსენებათ, მეტად ჩვილის გულის პატრონია. იმან იფიქრა, ვაი თუ ყველა კავკასიის სომხები „ბეჟენცებად" გადიქცენ და რუსეთს მოაშურონო და „პროგრესიული" გაზეთებიც ახმაურდნენ. ქართველებსა და კავკასიის ყველა ერებს, გარდა სომხობისა, რეტროგრადობა და რეაქციონერობა უკიჟნეს. ეს დროც წავიდა და ეხლა პროგრესიული რუსეთიც სულ სხვა თვალით უყურებს სომეხთა „დემოკრატიულ" მისწრაფებებს.

მაინც თავისას არ იშლიან კიდევ ეს სომხების შახატუნები. თუმცა ვერც მთავრობა, ვერც კავკასიის სხვა ერები და, დახეთ უბედურებას, „პროგრესიული რუსეთიც" კი ვერ მოატყუეს. სწორედ რომ მოლა-მასრადინას არაკს ასრულებენ ეს პოლიტიკოსები. სხვა ვერ დააჯერეს, რომ სომხები ფლავს არიგებენო და ეხლა, მგონია, თვითონ დაიჯერეს ეს.

ისიც კი უკვირსთ: „რათ განცვიფრებსთ, რომ ჩვენც გვინდა ეროვნულათ ერთფეროვანი ტერიტორია შევქმნათ და სომხური ადმინისტრატიული ერთეულები? აკი ქართველებსაც გაქვთ ეროვნულად მთლიანი ქუთაისის გუბერნიაო?

აბა დაუწყეთ ამ ვაჟბატონებს მტკიცება—ერთია საქართველოს ეროვნული მთლიანობა, რომელიც შეიქმნა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის სისხლით და ოფლით და— სხვა არის იმ მომავალი სომხური სახელმწიფოს ეროვნული მთლიანობა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს სამის მხრით ზღვებს და ერთი მხრით კავკასიონის კალთებს!..

ასეთი ეროვნული „მთლიანობა" სომხის გლადსტონების ოცნების ნაყოფია, და, მგონია, ის ავტორების გონებრივ მთლიანობას უფრო არღვევს, ვინემ საქართველოს აწმყოსა და მომავალს.

ე. მალი.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

რუს-რუმინელთა ჯარი მოლდავეთში, გენ. არცის წინააღმდეგ, ეს ორი დღეა აქტივობას იჩენს და სცდილობს ინიციატივა იგდოს ხელში. გუშინდელ ოფიციალ დეპეშის გადმოცემით, რუსეთის ჯარს ბრძოლის ხაზიც კი გაურღვევია და ტყვეები წამოუყვანია. ამ მანევრს დიდი გავლენა ვერ მოუხდენია მოპირდაპირეზე. ეს იქიდან სჩანს, რომ უკანასკნელს წამსვე ტატროშის ველით ექვსჯერ ზედიზედ გააფრთებული იერიშები მოუტანია. დანარჩენ ბრძოლის ველზე ჩვეულებრივი სროლა სწარმოებს, გარდა დობრუჯისა, სადაც გენ. ტოშევის არმია განაგრძობს წინსვლას და ქ. ბრაილოვს 15 ვერსის მანძილზე მოახლოვებია. თუ რატომ იჩენს რუს-რუმინელთა სამხედრო შტაბი უფრო მეტ აქტივობას მოლდავეთის ასპარეზზე, აიხსნება იმით, რომ მოპირდაპირის გამარჯვებული მანევრი მეტად ცუდ პირობებში ჩააყენებს არა მარტო ფოქშერის ველში მომქმედ რუს-რუმინელთა ჯარს, არამედ ბრუსილოვის არმიის მარცხენა ფრთასაც, რომელიც ტყიან კარპატებში მოქმედობს დორნავატრიდან ჩრდილოეთით. გენ. არცი ბრძოლის ველის გულს ემუქრება. რაკი იგი მოლდავეთის ველში ჩამოვა, უეჭველია, ფოქშერიდან ჩრდილოეთით მიმავალ რკინის გზას გადასჭრის და ამრიგად გალიციის ასპარეზს ჩამოაშორებს რუმინეთისას. ამასთანავე, ვეღარც ფოქშერში მდგომი რუს რუმინელთა ჯარი გამოიჩენს აქტივობას და იძულებული გახდება თავი მდ. სერეტს შეაფაროს. შესაძლებელია, რუს-რუმინელთა სამხედრო შტაბმა უფრო გააძლიეროს გენ. არცის წინააღმდეგ მოქმედება. ამით უკანასკნელი ბევრად განამტკიცებს თავის ბრძოლის ხაზს და აიძულებს მოპირდაპირეს ცენტრში, სადაც მოქმედებს გენ. ფალკენჰაინის არმია, პირისპირ ბრძოლა აწარმოვოს.

გენ. ტოშევის გამარჯვებული წინსვლა დობრუჯში ერთს მეტად საყურადღებო საკითხს აღძრავს. გადალახავს გენ. ტოშევი დუნაის, თუ მისი იერიშები მდ. დუნაის მარჯვენა ნაპირების დაპყრობით დამთავრდება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირისპირ შეხლას და მასთანვე მდ. დუნაის გადალახვას აქ ქალაქ გალაცასთან, ან და რენისთან გენ. ტოშევი ვერ შესძლებს, რადგან, როგორც ერთი, ისე მეორე ზემონახსენები ქალაქი მეტად დიდმნიშვნელოვანი ადგილებია და შეძლებას აძლევს რუს-რუმინელთა ჯარს მდ. მარცხენა ნაპირები ძლიერ გაამაგროს. ნუ დაივიწყებთ, რომ მათთანვე ახლოსაა ციხე იზმაილოვი, საიდანაც მოკავშირენი ყოვეთვის დარაჯად ედგებიან მოპირდაპირეს. რაც შეეხება ბრაილოვთან გადალახვას, აქ ეს მანევრი უფრო მოსალოდნელია, ვინაიდან გერმანელნი ამ ქალაქს ჩრდილოეთით და დასავლეთითაც უვლიან და, რასაკვირველია, დიდ დახმარებას უწევენ გენ. ტოშევს. გალაცთან და რენისთან გადალახვა შეიძლება მხოლოდ გენ. დელმანზინგამენის დახმარებით, ე. ი. თუ ის შესძლებს მარცხენა ნაპირით ოპერაციის იმდენად გაძლიერებას, რომ რუს-რუმინელთა ჯარს მანევრების საშუალება მოუსპოს.

კერძო დეპეშების გადმოცემით, საბერძნეთის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონია ახალი მოთხოვნილებანი მოკავშირეთა არ დააკმაყოფილოს. ამას ერთგვარად ათინიდგან მოკავშირეთა ელჩების წასვლა ამტკიცებს. თუ მართალია ეს ხმები, მაშინ მომავალი ახალი წელი ზავის მაგიერ კიდევ ახალი ბრძოლის ველით დაგვაბერებს.

X.

# ომის დეპეშები

### 28 ქრისტეშობისთვე.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. ბრეზეანის სამხრეთ-აღმოსავლეთით წინ წაწეულ ჩვენს სანგრებზე 200 ავსტრიელი იერიშით წამოვიდა, მაგრამ სროლით თხრილებშივე მივაბრუნეთ. სტანისლავის მიდამოებში ჩვენმა მზვერავებმა სიმარჯვე გამოიჩინეს, მტრის სადარაჯოს დაეცნენ, ზოგი დახოცეს, ზოგი ტყვედ წამოიყვანეს. გამობრუნების დროს ზუვის მხრიდან ავსტრიელებმა სროლა აუტეხეს, მაგრამ სროლითვე იფრინეს და მშვიდობიანად დაბრუნდნენ ჩვენს სანგრებში. მოპირდაპირემ ღამე სცადა მდ. ბისტრიცის გამოღმა გამოსვლა გალიჩის სამხრეთით, მაგრამ ვერ მოახერხა.

**რუმინეთის ასპარეზი.** მდ. ბოტაშუს სამხრეთით მდებარე მაღლობზე, ზარბაზნების დაშენის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა მედგარი წინააღმდეგობის მერე მტრის ჯარი გაარღვია და ხელთ იგდო 600 ტყვე, 6 ზარბაზანი, 16 ტყვიისმფრქვეველი, ნაღმისა და ყუმბარისმტყორცნელები. მდ. ტატროშის ველში, ბრუსტურგასულის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოპირდაპირემ ექვსჯერ მედგრად შემოგვიტია, მაგრამ დიდად დაზარალებული უკანვე გავაბრუნეთ. ფოქშანიდან დუნაიამდე მთელი ბრძოლის ხაზზე სროლაა. დობრუჯში ღამე ერთბაში იერიშით ბულგარელთა სადარაჯო გავანადგურეთ. დილით მოპირდაპირემ მაჩინის მიდამოებში შემოგვიტია, მაგრამ მოვიგერიეთ. დღისით მტერმა იერიშები განაახლა და ჩვენს ჯარს ბრაილოვისაკენ დაახევინა. ბრაილოვის აღმოსავლეთით 15 ვერსზე, ვოკერნის აღმოსავლეთით მდებარე მაღლობზე მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**კავკასიის ასპარეზი.** მთელი ბრძოლის ხაზზე თოვლის ნამქრებია; ყინვა 18 გრადუსამდე აღწევს. თოვლი კაცის სიმაღლეს სცილდება, გზები და მიწურები თოვლითაა დაფარული, ბილიკების წმენდას ვერ ასწრიან. სპარსეთში ჩვენმა ცხენოსანმა მზვერავთა რაზმმა მტრის მოწინავე რაზმები უკუაგდო და საკიზი აიღო. მისმა მცხოვრებლებმა თეთრი ბაირაღი ააფრიალეს.

### 22 ქრისტეშობისთვე.

**ქრისტიანია.** ინგლისის მისიამ ნორვეგიას აცნობა, რომ ქვანახშირს მხოლოდ ხეტყის მზიდველ გემებისათვის დაგითმობთო.

**იასი.** დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე რუმინეთში მოვიდა.

**ჟენევა.** შვეიცარიის ახალმა პრეზიდენტმა შულტხესმა „ლოკალანცეიგერ"-ის თანამშრომელს განუცხადა: შვეიცარიას ჰსურს ალებ-მიცემობა ორივე მებრძოლ სახელმწიფოებთან აწარმოვოს, მტკიცე ნეიტრალობა დაიცვას და თავისი დამოუკიდებლობა შეინარჩუნოსო. თუ რომელიმე სახელმწიფო შვეიცარიის საზღვრების გადალახვას მოიწადინებს, თავგამოდებითს წინააღმდეგობას გაუწევთო.

**სტოკჰოლმი.** ბერლინიდან იტყობინებიან: გერმანულ გაზეთების აზრით მოკავშირეთა პასუხი მეტად მკაცრია. ზოგი გაზეთის აზრით ეს პასუხი ხელახალ ომის გამოცხადებას უდრის, რაზედაც გერმანეთი ჩახველით უპასუხებს. მემარჯვენე გაზეთები მოითხოვენ, ომი მედგარის დაუნდობლობით გაგრძელდეს.

**ქრისტიანია.** 18 ქრისტეშობისთვეს ინგლისიდან ნორვეგიაში ქვანახშირის გზავნა შესწყვიტეს. ნორვეგია მხოლოდ ინგლისის ქვანახშირით სარგებლობდა.

### 23 ქრისტეშობისთვე.

**რომი.** სტეფანის სააგენტოს ათინიდან ატყობინებენ, 18 ქრისტეშობისთვის თარიღით: მას მერე რაც საფრანგეთმა, ინგლისმა და რუსეთმა მოთხოვნილება წარუდგინეს საბერძნეთის მთავრობას, იტალიის მთავრობამაც ასეთი ნოტა გადასცა: გავეცანით მოკავშირეთა ნოტას და საბერძნეთის მთავრობას ვუცხადებთ: იტალიის მთავრობა უერთდება ყველა მათს მოთხოვნილებას, უერთდება, გარდა მეოთხე მუხლისა, რომელიც საბერძნეთის შინაურ ცხოვრებას ეხება. იტალიის მთავრობის აზრით მას უფლება არა აქვს საბერძნეთის შინაურ საქმეში ჩაერიოს და სრულიად არ არის დაინტერესებული ამ (მეოთხე) მუხლის განხილვაში.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

## ზავის გარშემო.

**უილსონის წინადადება.**

უილსონის საზავო წინადადების გამო ვ. ვოდოვოზოვი სწერს: რუსეთში და საზღვარგარედ ამბობდენ: „ამერიკა ომიანობის წყალობით ფულით ჩაიქცა და ეხლა მშვიდობიანობა მოსწყურდაო". ამის გარდა ამერიკის [illegible] საზრებანიც ამოქმედდა [illegible] მსოფლიო ბანკირებად იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი და ბელგია. ესენი მთელ ქვეყნიერობას ფულით უმართავდნენ ხელს, ომიანობის დროს ეს საქმე შეერთებულ შტატებს ჩაუვარდათ ხელში. მათ აურაცხელი თანხა დააბანდეს მეომარ სახელმწიფოებში. ეხლა ამერიკა საგონებელშია: ერთ-ერთი მებრძოლი მხარე რომ გაკოტრდეს, ან ორივე მოპირდაპირე, ვინღა უნდა გაუნაღდოს დაბანდებული თანხა და მისი სარგებელი. ამისთვის დასჭირდა უილსონს ზავზე სიტყვის ჩამოგდება.

ადვილი მოსალოდნელია, რომ პირველ წინადადებას, რომელსაც, როგორც სჩანს, ბედი არ უღიმის, მეორე და უფრო გადაჭრილი წინადადება მოჰყვეს. დღევანდელს ომში ნამდვილად გამარჯვებული ამერიკაა და იგი არასოდეს არ მოისურვებს ხელიდან გაუშვას ის მრეწველობისა და ფინანსიური ჰეგემონია, რომელიც მან მოიპოვა სისხლის დაუღვრელად.

**„გერმანეთის საფრთხე."**

უილსონის წინადადებასვე ეხება ქ. შუმსკი—იგი სწერს: „გერმანეთის მილიტარიზმი", „გერმანეთის საფრთხე" ან თუ გნებავთ ლოზუნგი „დოიჩლანდ იბერ ალეს"—უშინაარსო მყვირალა სიტყვები როდია. დღევანდელ ომის დროსაც მოწმენი გავხდით, იმისი, თუ, რა გააფთრებით ეძგერა გერმანეთი მთელს ევროპას. მხოლოდ მოკავშირეთა უაღრესმა ძალების დაჭიმვამ შესძლო შეეკავებინა ეს საშინელი, ძლიერი და მტაცებელი მოპირდაპირე. რა იქნებოდა, რომ ეს ყოველმხრივ შებოჭვილი და ძლიერი მტერი კვლავ ხელიდან გაუსხლტეთ და თავისუფლად განაგრძოს თავისი სამხედრო ძლიერების და შეიარაღების განვითარება უაღრესად განვითარებულის კულტურით? მაშინ ვინღა შესძლებდა 5—10 წლიწადს წინააღმდეგობა გაეწია პოლონეთის, ლიტვის და კურლიანდიის მხრივაც გაძლიერებულ ას მილიონიან გერმანეთისთვის? მაშინ ხომ პოლონეთი იქნებოდა ამართული გერმანეთის უდიდეს მოპირდაპირე რუსეთის და გერმანეთის შუა და ახალი მოლტკეები სისრულეში მოიყვანდნენ მესამე გეგმას „45 მილიონიან საფრანგეთის გასრესისას".? განა 5—10 წლის შემდეგ საკმაო იქნებოდა ინგლისის საზღვაო ძლიერება შეუჩერებლივ გამრავლებულ და გაძლიერებულ გერმანეთის წყალწყვითა და წყალქვეშა ნავების ასალაგმავად?

გერმანელების „დოიჩლანდ იბერ ალეს" უაზრო სიტყვები კი არა, ღრმად მოფიქრებული და მთელი კაცობრიობის საფრთხეში ჩამგდები სამოქმედო გეგმაა, რომელსაც გერმანეთი ათწლობით ამუშავებდა.

ჩვენის ღრმა რწმენით დღევანდელი ხანა თუმცა მეტისმეტად მძიმე და აუტანელია, მაგრამ იგი ერთადერთი ხანაა, როდესაც კიდევ შესაძლოა ალაგმა გერმანეთისა მისი გეგმის განხორციელების პირველსა საფეხურებზე, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი, უფრო გაძლიერებული, მეტს საფრთხეს გაუმზადებდეს ეროვნულს თვითარსებობას.

თუ მართალია ის აზრი, რომ „მართვაგამგეობა მომავლის გათვალისწინებას ჰნიშნავს", მაშინ ცხადია ევროპას დიდი სიბეცე გამოუჩენია, რომ ვერ შეამჩნია გერმანეთის 40 წლის სამზადისი.

„გერმანეთის ბატონობა" ლიტონი სიტყვები არ არის...

## გერმანეთი

**ტყვიისმფრქვეველთა რაზმები.**

ესპანურ ჟურნალში („La querra y zu Preparation") მოთავსებულია წერილი ბერლინში მყოფ სამხედრო აგენტებისა, რომელიც სხვათაშორის გერმანელთა ტყვიისმფრქვეველთა რაზმებს აგვიწერს. ყოველ ქვეითაპოლკის მეცამეტე როტა და მსროლელთა მეხუთე როტა შეიარაღებულია 6 ტყვიისმფრქვეველით, რომელიც თვლებზე შეყენებული და 2 ცხენით დააქვთ, თან აქვს 3 ტყიაწამლის ყუთი სამ სამცხენშებმული. ეს არის პატარა რაზმი. ამის გადრა ყოველ როტაში სათადარიგოდ ჰყავთ 4 მებარგული ცხენი, 4 მარქაფა, 1 ტყიაწამლის ყუთი 4 ცხენშებმული, 1 სამგზავრო სამზარეულო ორცხენშებმული. ხელსაწყოთ დატვირთული ურემი და 4 ცხენშებმული სურსათის ურმები. ერთს როტაში სულ 96 კაცი და 40 ცხენია. თითო ტყვიისმფრქვეველს ახლავს 5 ჯარისკაცი; თან აქვთ 81 ათასი პატრონა. დამატებითი პატრონებს დივიზიის საწყობიდან ღებულობენ.

ცხენოსან რაზმში 130 კაცია, 90 ცხენი, თან აქვს 10,500 პატრონა,

(თითო ყუთში 8,100 პატრონაა). აქვთ თვლებზე შეყენებული 6 ტყვიისმფრქვეველი, თითოს 4 ცხენი ჰზიდავს, 3 ცხენზე ასაკიდი ტყვიისმფრქვეველი, რომელიც 4 ცხენზეა აკიდებული და პატრონების ყუთი. ეს არის პატარა რაზმი, ე. ი. ერთეული. აქვე აქვთ ერთი დიდი პატრონების ყუთი, რომელსაც 4 ცხენი ჰზიდავს, ერთიც ასეთივე სათადარიგო ყუთი; ჰყავთ 5 საპალნისა და 6 მარქაფა ცხენი. თან აქვთ აგრეთვე ურემი, ორი ცხენის საზიდი, როტის ხელსაწყობით დატვირთული, 1 ასეთივე ორცხენშებმული ურემი ჯარისკაცთა ყოველდღიურ ულუფისა და 1 ურემი ცხენების საკვებით დატვირთული.

## რუმინეთის ხორბალი.

„ტაიმს“-ის ცნობებით, ავსტრიასა და გერმანეთს მშვიდობიანობის დროს რუმინეთიდან გაჰქონდათ ხოლმე ყოველწლივ 372 მილიონი ფუთი ხორბლეული. ეხლა კი, მოსავლის შემცირების გამო, მხოლოდ ამის ნახევარს თუ გაიტანენო.

## ბეტმან-ჰოლვეგი.

„კიოლნიშე ცაიტუნგ“-ი გადმოგვცემს: გერმანეთის კანცლერმა, მოკავშირეთა მიერ უილსონის წინადადებაზე უარის განცხადების გამო, სთქვა: „გერმანეთი სრულის სიმშვიდით ელის მოკავშირეთა ნაბიჯს. მან შეკუმშული მუშტი გაშალა და მტრებს გაუწოდა, მაგრამ თუ კი მოპირდაპირენი გაწვდილ ხელს არ ჩამოართმევენ, თვითონვე იქნებიან შედეგის პასუხისმგებელნი. მათ კვლავ უნდა აირჩიონ, ომი უნდათ თუ ზავი“.

# უკანასკნელი ცნობები

**საახალწლო ნომერში გერმანულ გაზეთებს განუცხადებიათ: თუ სხვა გზა არ დაგვრჩა, ვიბრძოლოთ იმ დრომდე, ვიდრე მთელ ძალღონისაგან არ დავიცლებითო!**

—

**რუსეთის სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე გერმანეთის მზვერავებმა მოქმედება გააცხოველეს. მათი სურვილია გაიგონ, რუსეთის ჯარი სად რა ძალისაა.**

—

**მოლდავეთის საზღვარზე მოწინაალმდეგე გაცხარებულათ იბრძვის. რატიაშის მიდამოებში მოკავშირეების ჯარი ჯერ კიდევ მოწინაალმდეგის ტერიტორიაზე იბრძვის. მოწინაალმდეგემ რუმინეთის ფრონტი რამდენადმე შეამოკლა და თავისი ჯარი ჩექსერედის მიდამოში გადმოიყვანა, რათა ამით მოკავშირეთა ფრთას მოლდავეთისა და ვლახეთის საზღვართან შეხვდეს. მოწინაალმდეგის იერიშებს ჯერ-ჯერობით მოკავშირეთა ჯარი აჩერებს.**

—

**მოლდავეთიდან 8 ვერსის სიშორეზე მოწინაალმდეგის ტერიტორიაზე ჰხდება ბრძოლა. აქ მოწინაალმდეგეს დაბეჯითებით ჰსურს მოკავშირეთა ჯარი ტრანსილვანიიდან განდევნოს.**

## საშობაო სურათებიან დამატებაში მოთავსებულ იქნება:

**„ძველ კერპების დამხობა“, ნახატი ჰერმან პრელისა, „ზამთარი“, კარიკატურები და სხვა. ლექსები: ხანდრო შანშიაშვილისა, შიო მღვიმელისა და გ. ლეონიძისა. მოთხრობა: დ. კასრაძისა და საშობაო სურათი გ. საათაშვილისა.**

**გაზეთის საშობაო ნომერი ექვს გვერდიანი იქნება და დამატებით ეღირება 10 კ.**

# ახალი ამბავი

**ნასახლეში**

◆ **მეფის ნაცვლის მეუღლის** დიდ მთავრინა ანასტასია ნიკოლოზის ასულის სახელწოდების დღეს სასახლის კარის ეკლესიაში გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. პარაკლისს დაესწრნენ მეფის ნაცვალი მთელი უმაღლესი საგვარეულო ოჯახით. საუზმეზე მოწვეულ იქმნენ წითელ ჯვრის მთავარ რწმუნებული ლ. ვ. გოლუბევი, და საფრანგეთის ლაშქრის მხედარი პოლკოვნიკი შარდინიე.

◆ **მეფის ნაცვალს სადარბაზოდ** წარუდგა კ. ი. შაშკოვსკი პეტროგრადიდან დაბრუნების შემდეგ.

**ქართული დაწესებულებანი.**

◆ **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს სხდომა ჰქონდა 22 ამა თვეს და მსჯელობა იქონია მომავალ წლისათვის სამუშაო გეგმისა და საჭირო თანხის მოპოვების შესახებ.

◆ **ქართული საქველმოქმედო საზოგადოების** მთავარი გამგეობა სთხოვს საზოგადოების ბათომის განყოფილებას დაუყონებლივ შეჰკრიფოს დაწვრილებითი ცნობები, თუ რამდენად მართალია ზოგიერთ გაზეთების მიერ გამოქვეყნებული ამბავი, რომ კინტრიშის რაიონში დაუსჯელად ნავარდობენ ვიღაც ზნედაცემული უცხოტომის ადამიანები, რომელნიც ათასგვარი ღონის ძიებით ავიწროებენ ადგილობრივ მცხოვრებლებსო და მათის წყალობით ბევრს ქართველ მაჰმადიანს ცუდი დღე დაადგაო. მთავარი გამგეობისთვის ეს ცნობები ფრიად საჭიროა, რათა შესაფერისი ზომები იხმაროს აღნიშნულ ბნელ ძალების წინააღმდეგ.

**მთავრობის დაწესებულებანი.**

◆ **თანახმად მთავრობის განკარგულებისა,** 25 და 26 ამა თვეს ყველა სავაჭრო სახლები, მათ შორის ფურნეები, თორნეები და სასადილოებიც დაკეტილი იქნება.

**ქალაქის დაწესებულებანი**

◆ **ქალაქთა კავშირის** მთავარი რწმუნებული ბ-ნი ჩელნიკოვი ატყობინებს კავშირის აქაურ განყოფილებას, რომ საშობაო ბედნიერ დღეებისათვის ჩვეულებრივი საჩუქრები მიეცით კავშირის დაწესებულებათა შტატის მოსამსახურეებსო. საჩუქრის უმაღლესი ნორმა უდრის 200 მანეთს.

**სხვა და სხვა ამბები.**

◆ **კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირის** თავმჯდომარეს დ. ლუკაშვილს თათბირი ჰქონდა სასურსათო საქმეების ხელმძღვანელთან და ამ უკანასკნელმა შეიწყნარა ლუკაშვილის შემდეგი თხოვნა: 1) კავშირმა იყოლიოს ჩრდილო კავკასიაში თავისი მუდმივი რწმუნებული, რომელიც გუბერნატორის რწმუნებულ ბ-ნ დოლაქიშვილთან ერთად კახეთისათვის შეიძენს საჭირო სურსათს; 2) კავშირმა იყოლიოს თბილისში თავისი წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს სურსათისა და ვაგონების განაწილებაში და რომელსაც მინიჭებული ექნება გადამწყვეტი ხმა; 3) კავშირმავე იყოლიოს ფოთში თავისი რწმუნებული, რომელიც კავშირის სახელზე მისულ საქონლის გამოგზავნას დააჩქარებს.

◆ **სურსათ-სანოვაგე.** კახეთის საკრედიტო დაწესებულებათა კავშირმა 1 ვაგონი ფხვნილი შაქარი მიიღო თელავის მცხოვრებთათვის, ხოლო 1 ვაგონი მაზრის მცხოვრებთა საჭიროებისათვის. გარდა ამისა კავშირს 1 ვაგონის დუბლიკატი აქვს ხელში და საქონელს დღე-დღეზე მოელის. ბ-ნმა თბილისის გუბერნატორმა 17 ვაგონი ფქვილი გაუგზავნა კავშირს სოფლის საჭიროებისათვის. იმავე კავშირის სახელზე ნოვოროსიისკიდან გამოგზავნილია 71 ვაგონი ფქვილი თიანეთისა, თელავისა და სიღნაღის მაზრებისათვის.

◆ **სამართლიანი პროტესტი.** ტრამვაის ტარიფის გადიდების გამო, ქალაქის გამგეობაში საპროტესტო წერილები წარადგინეს ქართულ გიმნაზიისა, სასულიერო სემინარიისა, საქალებო უმაღლეს კურსებისა, კულტურტეხნიკურ სასწავლებლისა, მესამე გიმნაზიისა და სომეხთა სემინარიის მოსწავლეებმა· ყველანი თხოულობენ ძველის ტარიფის აღდგენას.

◆ **სიონის ტაძარში** გუშინ გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი მეფის ნაცვლის მეუღლის დაბადების დღის გამო. პარაკლისი გადიხადა საქართველოს ექსარხოსმა თბილისის სამღვდელოების თანამლოცველობით.

◆ **ჩამოვიდა თბილისს** ბ-ნი ერ. გულისაშვილი, ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სკოლების გამგე, და თან ჩამოიტანა აჭარის სკოლებთან არსებულ სახელოსნოებისა და სახელსაქმოების ნამუშავრის ნიმუშები. ბ-ნი გულისაშვილი რამდენიმე მოხსენებას წარუდგენს საზოგადოებას განსახილველად და დასამტკიცებლად.

◆ **ქალაქთა კავშირის** განყოფილების მიერ მიღებულ ცნობების მიხედვით, აზრუმსა და იმის რაიონში დიდი ყინვები დაუჭერია.

◆ **სახელოსნო სკოლასთან.** თბ. გუბერნატორმა ნება დართო თბ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს დუშეთის მაზრის ს. ნაქალაქარის სამინისტრო სკოლასთან სახელოსნო განყოფილების დაარსებისა. ამ საქმისთვის სოფელი 500 მან. იძლევა.

◆ **თელავის წ. კ. გ. ს. განყოფილების** გამგეობას თბილისის გუბერნატორმა ნება დართო 10 თებერვალს ნილაბიანი საღამო გამართოს.

◆ **შავი ქვის მადნის დამუშავება.** მეფის ნაცვლის საბჭომ ნება დართო ს. ს. ასათიანსა და მ. პ. ნიკაჩაძეს, შორაპნის მაზრის სოფ. რგანში, ადგილ „წაბლარში“ მოახდინონ გამოკვლევანი შავი ქვის დასამუშავებლად.

◆ **დაიბეჭდა** და გამოვიდა ქართულ სასოფლო-სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“ (№ 3—4), ჟურნალში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საკოოპერაციო საკითხებს. საერთოდ ჟურნალი სუფთად არის დაბეჭდილი და შიგ ბევრი ცნობაა სოფლის მეურნეთათვის საჭირო.

◆ **შეწირულება.** გიორგი ჩიტოშვილმა საბუის ბიბლიოთეკას მთელის წლით გაუწერა გაზეთი „საქართველო“.

◆ **ქრისტეშობის** 28, უმაღლეს კურსების მსმენელი ქართველი ქალები ბარათაშვილის დილის მოწყობას აპირებენ.

◆ **მომხმარებელი ამხანაგობა.** დუშეთის მაზრის ს. ბოკოტინის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების შესახებ ამ სოფელში.

◆ **„ტატიანეს დღე“.** თბილისის გუბერნატორმა ნება დართო 10 იანვარს, სახაზინო თეატრში სტუდენტობის სასარგებლოდ გაიმართოს „ტატიანის დღე“.

◆ **მასწავლებელთა საზოგადოების** ხაშურის განყოფილებამ დაადგინა სთხოვოს საზოგადოების მთავარ გამგეობას იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ სოფლის მასწავლებლებს ჯამაგირი ეძლეოდესთ თავის დროზე, ე. ი. ყოველი თვის 20 რიცხვში და ჯამაგირებისათვის მასწავლებლებს სიარული არ უხდებოდესთ ხოლმე ინსპექტორთან, არამედ სკოლის გამგეს გამოეგზავნოსთ ფული.

◆ **ბ-ნი არსენ წითლიძე,** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სკოლების გამგე, რომელიც საოფლით ავად გახდა და ბათომის საავადმყოფოში წევს, მორჩენის გზაზე დაადგა.

◆ **სახელმწიფო ბანკი** მომავალ წლის 2 იანვრიდან საერობო და საქალაქო კავშირთ, წვრილ კრედიტის დაწესებულებათ და კერძო პირთ შეტანილ უვადო თანხაზე 3% მისცემს, ვადიან თანხაზე 1 წლით 4%, ხოლო 5 წლით—$5\frac{1}{2}$%.

**ქუთაისი**

ამბობენ, საურთიერთო ნდობის საზოგადოების თავმჯდომარე რ. ყ. დათეშიძე, სამსახურს თავს ანებებს და სხვაგან გადადისო.

**ბათომი.**

წ. კ. გ. საზოგადოების ადგილობრივს განყოფილებას აზრადა აქვს თავის საკუთარ შენობას დაადგას მეორე სართული, რომელიც საკონცერტო დარბაზად იქნება მოწყობილი.

**ხონი.**

ხონელებმა გადასწყვიტეს სახალხო თეატრისათვის შენობა ააგონ. ადგილობრივმა ვაჭრებმა და შეძლებულმა მცხოვრებლებმა აღუთქვეს, საჭირო თანხას გვმოვიღებთო. გაზაფხულზე შენობის საძირკველს ჩაჰყრიან.

**ქეშელთი** (გორ. მაზ.)

აქაც თბილი ზამთარი გვეწვია. ამ ქრისტეშობისთვეში 7—8 წვიმდა და თოვლი ღამეც დნებოდა. წინათ ამ დროს ზვავების შიშით კარში მთელ თვეობით ვერ გამოვდიოდით.

— აქ დეკემბრის 3-ში გვეწვია მთავრობისაგან გამოგზავნილი ჟანდარმი და ძლიერ შეგვეშინდა; ჟანდარმი ხალხს ეკითხებოდა, ვის რამდენი ქრთამი მიგიციათ სოფლის მოხელეებისათვისაო? საბუთების მოგროვებას მთელ სამ დღეს მოუნდა და ისევ დაბრუნდა.

— ჩვენს სკოლაში წრეულს სწავლა ღვიობისთვის პირველიდან დაიწყო. მასწავლებელი არა გვყავს და თითონ ჩვენი მღვდელი განაგრძობს ბავშვების სწავლებას. წინა წლებზე მეტი დაიარება სკოლაში. ამ ჟამად 55 მოწაფე დადის სხვა და სხვა სოფლებიდან.

**თელავი.**

ამ დღეებში, სოფ. კალაურიდან მომავალ, თელავის ცნობილ შეძლებულ ვაჭარს კ. გაბელოვს დახვდა ვაჩნაძიანის ხევში ორი შეიარაღებული ყაჩაღი და გაძარცვა დაუპირეს. გაბელოვმა სცადა გაძალიანება, ამოიღო რევოლვერი, მაგრამ ისევ ყაჩაღებმა მოასწრეს და სასიკვდილოდ დასჭრეს, შემდეგ მისცვივდნენ, თუ რამე ჰქონდა ზედ, ყველაფერი წაართვეს. დაჭრილი იმავე დღეს ამოიყვანეს თელავში. მეორე დღეს გარდაიცვალა.

— 17 ქრისტეშობისთვეს ღამით, პრაპორშჩიკმა ლადო კევლიშვილმა ვიქტორა ბრეგვაძის სახლში მოჰკლა იოსება ფოთოლაშვილი (რომელიც კაი ხანია გამოჰქცევია ბრძოლის ველს და აქ ომობდა უიარაღო მეზობლებში), თვით სახლის პატრონი ვ. ბრეგვაძე კიდევ მუცელში დასჭრა. როგორც გავიგეთ, საქმე ასე ყოფილა: ლადო კევლიშვილის მამისთვის ამას წინად წერილი მიუწერიათ ყაჩაღებს და სთხოვდნენ 600 მან. სწორედ ზემოხსენებულ ღამეს მიეტანათ ბრეგვაძის სახლში, სადაც დახვდებოდა მათი ამხანაგი ფულის მისაღებად. შეშინებულ მამას გაუტანებია თავის შვილისთვის 70 მან., მაგრამ ეს ძალიან ულოტავნია ყაჩაღს და დაუპირებია მისი შვილის მოკვლა. მაშინ შეხვეწნია ახალგაზრდა კევლიშვილი ყაჩაღს: ოღონდ ნუ მომკლავთ და კიდევ მოგიტანთო. წამოსულა მაშინვე და პოლიციი'ათვის უცნობებია. პოლიცია მაშინვე გაჰყოლია და სახლისთვის ალყა შემოურტყავთ. თითონ კევლიშვილისთვის რევოლვერი მიუციათ და მისივე თხოვნით ჯერ ის შეუგზავნიათ სახლში, იმასაც, შესვლის უმალვე, ერთის ტყვიით ყაჩაღი მოუკლავს, მეორეთი მასპინძელი ბრეგვაძე დაუჭრია. ხალხი მეტად დააშინა აქ გაშმაგებულმა ყაჩაღობამ, და განაპირა უბნების შეძლებული მცხოვრებნი სტოვებენ თავიანთ სახლებს და ბაზრის ახლოს გადმოდიან საცხოვრებლად.

**ჭიათურა**

ჩვენ გაზეთებში ბევრი იწერება სოფლელების გაჭირვების შესახებ, მაგრამ გაჭირვებაც არის და გაჭირვებაც! ზემო იმერეთი საშინელ გაჭირვებას განიცდის მოუსავლობის გამო. ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე კუთხე. ეს მესამე წელიწადი მიდის, თითეულს კომლს სიმინდი მხოლოთ ორის თვის სამყოფი მოსდის და მთელ ათის თვის განმავლობაში უნდა იყიდოს ხოლმე. თითონ მკითხველი მიხვდება, რამდენ შიმშილს და გაჭირვებას უნდა განიცდიდნენ უმეტეს ნაწილათ ის ოჯახები, სადაც ქალებისა და ბავშვების მეტი არავინ არის. ამ სამი წლის მოუსავლობის გამო ბევრმა გაყიდა ოთხფეხი და სახლის ავეჯეულობა. ზემო-იმერეთში მომავალ 1917 წელიწადში ზედმეტს შიმშილობას მოველით მთელ ამ წარსულ წლებთან შედარებით, რადგანაც მიწის მუშას სათესლე სიმინდი არ აქვს. წარსულ წლებში თუმცა სიმინდის ნაკლებობა იყო, მაგრამ ზოგ სოფლებში კიდევ იშოვებოდა ცოტა გასასყიდი, თუ ერთ ბათმანში (2 მ. 50 კ) მისცემდით (ბათმანი 8 ოყიანი), წრეულს გასასყიდიც არავისა აქვს. როგორ გაუძლოს სოფლად თითო ოროოლა დარჩენილმა საწყალმა დადარდიანებულმა მუშამ ამდენს გაჭირვებას? თავის ოჯახის საზრდოსთვის იზრუნოს, თუ სათესლე სიმინდისთვის? ეს ერთი თვე არის, რაც დაბა ჭიათურაში პურის ფქვილი გამოილია. ამ ერთი თვის განმავლობაში ჭიათურელები ვსაზრდოობდით სოფლებიდან შემოტანილ სიმინდით. ახლა სოფლიდანაც არაფერი შემოაქვთ. საჭიროა ვიზრუნოთ და სოფლელთ მივაწოდოთ სათესლე სიმინდი, თორემ უსიმინდოთ დარჩება როგორც სოფელი, ისე დაბა-ქალაქები.

# ჰენრიკ სენკევიჩის დილა

22 ამა თვეს, საარტისტო საზოგადოებაში პოლონელთა მიერ სენკევიჩის დილას დიდებული ხასიათი ჰქონდა, ხალხი დიდძალი დაესწრო, მაგრამ უფრო მეტიც იქნებოდა, ცუდ ამინდს რომ ხელი არ შეეშალა და დილა უქმე დღეს რომ გამართულიყო. აღსანიშნავია, რომ ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა ყურადღება მიიპყრეს მთელი შეკრებილებისა.

დილა დაიწყო ორკესტრით, რომელმაც „კონტატა“ შეასრულა.

პირველად სიტყვა წარმოსთქვა პოლონურად ბ-ნმა ვიხოვსკიმ და მანვე რუსულად სენკევიჩის მოკლე ბიოგრაფია გააცნო საზოგადოებას. შემდეგ ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლების სახელით ქართულად სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა იოს. მაჭავარიანმა. მაჭავარიანის სიტყვამ, რომელიც ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში იქნება დაბეჭდილი, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. რუსების ორგანიზაციების სახელით რუსულად სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნმა დუბროვსკიმ. ამის შემდეგ სომხურად ილაპარაკა ბ-ნმა შირვანზადემ, ბოლოს პოლონურად ილაპარაკა ბ-ნმა პეკარსკიმ.

მეორე განყოფილებაში ნაჩვენები იყო ცოცხალი სურათები ჰენრიკ სენკევიჩის ნაწერებიდან. ეს განყოფილება განსაკუთრებით საინტერესო იყო. ფარდა აიხადა თუ არა, პოლონელმა ბავშვებმა და აგრეთვე „ნაკადული“-ს რედაქციის თაოსნობით მიყვანილმა ქულაჯებში გამოწყობილმა ქართველმა ბავშვებმა დაფნის ფოთლებით შეამკეს დიდებული მწერლის ბიუსტი. შემდეგ გვირგვინებიანად წარსდგნენ დაწესებულებათა დეპუტაციები, რომელთაც ვერცხლის გვირგვინიანად წინ მიუძღოდა ქართულ კულტურულ დაწესებულებათა კავშირის თავმჯდომარე გ. ნ. ყაზბეგი. გვირგვინის მირთმევის დროს ბ-ნმა გ. ლასხიშვილმა ქართულად წაიკითხა ადრესი.

ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა.

# დაქვრივებული სიონი

„ვინ გაჰბედავს და ჩვენი სიონის დაქვრივებაზე დაიჩივლებს?“

ასეთის რიხით კითხულობენ ძველი სიონის ნანგრევთა შორის მდგარნი წინამძღვარნი.

ესენი ჯერ კიდევ ძველს ბურანში არიან. ასე ჰგონიათ, ძველი დიდება ისევ შარავანდედად შემორტყმია ძეგლის დიად ნაშთს. ასე ჰგონიათ, საკმარისი იყოს სამრეკლოდან ზარის გუგუნი გაისმოდეს, იმ ზარისა, რომლის ენას ვერ მოისმენს ქართველის გული; ასე გვგონია, საკმარისია წირვა-ლოცვის აღვლენა, რომ საღმრთო თრთოლვით ქართველის გული გუნდრუკად აეკმიოს ცის გუმბათისკენ!

„ვინ გაჰბედავს და ჩვენი სიონის დაქვრივებაზე დაიჩივლებს!?“

ვინ და მრავალი და ბევრი რამ!

გარეგნობა და ბჭყვრიალა სამოსელი ვით აგვიხატავს სულის განცდას და საღმრთო ტანჯვას?

„ვინ გაჰბედავსო!?“

შევიდეთ ტაძარში და თქვენ იქნებით პირველი ასეთი შეურაცხყოფილი, შემუსვრილ სულით, დაკნინებული.

იკითხეთ, სად ხართ? ვისთან გაქვთ საქმე? თქვენ ვერ მიიღებთ სწორე პასუხს. ქართული სულის ცხედარს ბჭყვრიალა საცეცხლური სულთათანას განსვენებას უსურვებს. თქვენ ვერ მოისმენთ „დიდებას“, ვერც „რომელი ქერუბიმთას“ გიორგი მთაწმინდელნი ჩვენი მდიდრული და განსაცვიფრებელი მელოდიებით რომ აღავლენდნენ დაუსაბამოსადმი და სასოების ნიავქარსა უვლენდნენ მლოცველთ.

„ვინ გაჰბედავსო!“

ვინ და გაუდაბნოებული ტაძრის გული, შებღალული ჩვენი სიწმიდე, უცხო დეკორაციათა მოწყობილება, უცხო წარწერანი, სავანის წიაღში აღმართული უცხო მეუფის ტახტრევანი...

„ვინ გაჰბედავსო?“

ვინ და ყოველი, ვისაც ქართველად მიაჩნია თავისი თავი. მივიდეს, შეჰხედოს სამრეკლოს და ძველი ივერიის მზის სხივს, ღვთისმშობლის ალამს, მაცხოვრის ხელთუქმნელს ჯვარს როგორ შეჰხორხლიან ღამურები და ყვავ-ყორნები და მაშინ მივხვდებით, რომ არა გვაქვს რა გასახარელი, რომ ძველს დიდებას სამარისაკენ მივაცილებთ, რომ ლხენისა და კურთხევის პროცესია ცრემლის პროცესიად გარდაქმნილა ძველი დიდების დასატირებლად...

„Lauda Syon!“

„იშვებდიან... იხარებდიან სიონ!..“

სადღა, ან ვიღასღა შეუძლიან ასე შეჰღაღადოს ჩვენს ძველს სიონსა? ვინ შეუმშრალებს შეთრთვილულს ცრემლებს! ვინ აღმოაცურებს ვაებიდან ამ საღვთაებრიო იალქნიან ნავს, რომ ვარდის სივრცეში ძველის დიდებით იწყოს ცურვა და სხივთა ფენა?

„ვინ გაჰბედავსო!?“

მრავალი და ბევრი რამ...

დაქვრივებული სიონის სამრეკლოზე აღარ გაისმის ქართული ზარი, ზარი სიცოცხლის ტალღათა შემრხეველი, წმიდა აიაზმის მასხურებელი, ერის ნუგეში... მომავალი იმედი...

მაშ ვინ გაჰბედავს და არ იტყვის, რომ ჩვენი სიონი...

დაგვიქვრივდა?!..

**დ. კასრაძე.**

# გრ. რასპუტინის მკვლელობა

ჯერ კიდევ დანამდვილებით არ იციან, თუ რანაირად მოეწყო გრ. რასპუტინის მკვლელობა. ეს კი ცხადია, რომ მკვლელობა წინასწარ-განზრახვით მოუხდენიათ და მკვლელობის სისრულეში მოსაყვანად ყოველგვარი ღონე უღონიათ. ამ რიგად, სატახტო გაზეთები სულ სხვა და სხვა ცნობას გადმოგვცემენ. ზოგიერთ გაზეთის ცნობით მოკლულის გვამი დიდხანს უძებნიათ, მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ აღმოუჩენიათ სადღაც მივარდნილ ალაგას. მოკლულის გვამი ავტომობილით გაუტაცნიათ და ქურქში გახვეული დაუტოვებიათ. ტანთ სცმია ხავერდის ტანისამოსი და კრიალა წაღები.

ვიდრე რასპუტინს მოჰკლავდნენ მის კარებთან განუწყვეტლივ გადაცმული ახალგაზრდები უთვალთვალებდნენ. ამბობენ, მათს შორის, რამდენიმე ინგლისელი ჯაშუშიც ერიაო.

როდესაც ხმა გავარდა, „რასპუტინი მოკლესო“, მის სახლს აუარებელი მაღალ წრის ხალხი მიაწყდა თურმე. მიდიოდნენ თავადები, გრაფები, ბანკირები და მაღალ წრის წარმომადგენელნი. ყველანი ინტერესით კითხულობდნენ მომხდარ ამბავს. გავლენიანი პირები შეკრებილნი... ნაპოვნი გვამი არ გასჭრიათ... გაუჭრიათ.

სახლის პატრონისთვის, სადაც მკვლელობა მოხდა, გამომძიებელს ჩვენება არ ჩამოურთმევია. ამბობენ საზოგადოდ გამოძიება ფორმის გულისათვის იქნებაო. დაჭრილია რასპუტინის ძიძე, როგორც ამბობენ, ქართველი, ფ—ძე, რომელსაც მამაცობისთვის ოთხი გიორგის ჯვარი აქვს.

# ჩვენებური სკოლა

(წ. კ. გ. საზ. წლიურ კრების გამო)

ვინც „საქართველოს“ № 279 „წ. კ. გ. ს. წლიურ კრება“-ს წაიკითხავს, იმ დასკვნამდე მივა, რომ თუ ჩვენი სკოლები სასურველ სიმაღლეზე ვერ სდგანან, ამის მიზეზი სავსებით მასწავლებელნი ყოფილან (მასწავლებელთა უენერგიობაა.) არ ვიცი, რა მიზეზით არიან უნუგეშო მდგომარეობაში სხვა ქართული სკოლები, მოგახსენებთ მხოლოდ თელავის ქართულ სკოლაზე. ჯერ კი გამოვარკვიოთ, რას ეძახიან უნუგეშო მდგომარეობას? მას, რომ მოწაფეთა რიცხვი არა მატულობს? რომ საუკეთესოდ არა გვაქვს მოწყობილი კლასები საკლასო ავეჯის და სასწავლო ნივთების მხრივ?

მოწაფეთა რიცხვის სიმცირის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენდა საუბედუროთ, სოფლის ხალხი ჩვენ მოგვდევს კვალ და კვალ. ჩვენ არა გვსურს ჩვენი შვილები ეროვნულ ნიადაგზე აღვზარდოთ, რუსულს ვასწავლით აკვანშივე და სოფლელნი რაღა ჩაჩიკაშვილები არიან?! ისინიც რუსულს ეტანებიან, დიახ რუსულს...

ვერ დავეთანხმები ბ. ქელბაქიანს იმაში, რომ ვითომ ხალხი პრაქტიკულად უყურებდეს სკოლას, იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად დაეხმარება მას ცხოვრების გაუმჯობესობაში ქონებრივად. როგორ უნდა დაეხმაროს საყველ-პურო რუსულის ცოდნა, სამინისტრო სკოლაში მიღებული, თუ მოწაფე საშინისტრო სკოლაში სწავლის დათავებისასვე, რაიმე ხელობას დაადგება აქვე, თავის სამშობლოში? თუ შიდა რუსეთში გადიკარგა, იქ კი გამოადგება თავისი დამტვრეული რუსულიც-კი.

ყოველ შემთხვევაში, რუსული იმდენად არ იცის, რომ ცხოვრებაში გამოადგეს: ან არზების წერა შეეძლოს რუსულად, ან რაიმე სამსახურში შესვლა თავისი რუსულის ცოდნით. ერთი სიტყვით, სამინისტრო სკოლა-დამთავრებულმა რუსული იმდენად ნაკლებად იცის, რომ თუ სხვა სასწავლებელში არ შედგა ფეხი და რუსულს არ გაჰყვა, რაც იცის, ისიც უფრო მალე დაავიწყდება, ვიდრე ქართულ სკოლაში ნასწავლ ბავშვს რუსულივე ენა, ვინაიდან პირველში კაჭკაჭებით სწავლობენ რუსულს (მიზეზი მთავრობაა) და მეორეში კი მშობლიურ ენის დახმარებით შეგნებით ითვისებენ.

არა, აქ მიზეზნი ჩვენა ვართ, ჩვენ, რომელნიც, საუბედუროთ, მაგალითად ვყევართ მათაც (სოფლელთ, დაბალ ხალხს).

დავარწმუნებ ბ. ქელბაქიანს, რომ თუ ჩვენს სკოლაში ხელსაქმეს შემოვიღებთ (თელავის სკოლაზე მოგახსენებთ), როგორადაც ეს სამინისტრო სკოლაშია აქ, მოწაფეებს მაინც ვერ მოვიზიდავთ, თუმცა ჩვენი სკოლისათვის მაშინ „პრაქტიკული თვალსაზრისით უნდა შეეხედათ“. მაინც, ვისაც შეძლება ექნება, სამინისტრო სკოლას მიადგება და არა ქართულ სკოლას: ის რა სკოლაა, ქართულს ასწავლიანო, ქართულს მე კი ვერ ვასწავლი სახლშიო.

ქართულ სკოლაში რომ სამაგალითოდ მოეწყოს რაიმე ხელობის სწავლება: წიგნების დაკაზმა, ხალიჩების ქსოვა, ჭრა-კერვის ცოდნა, წინდების საქსოვ მანქანებზე მუშაობა, მეურნეობის შესწავლა სამაგალითოდ, ვიმეორებ, ისე რომ, სამინისტრო სკოლაში რუსულ ლაპარაკის შეძენამ თვალები ვეღარ აუბას ჩვენ ხალხს, გაგიხარიანთ, რომ ჩვენს სკოლას მოეტანებიან.

ბ. რამიშვილი მეტყვის, რატომ ენერგიას არ იჩენ და მაგ შენ პროექტებს შენს გამგეობას არ წარუდგენო.

მოგახსენებთ: ყოველივე აქ დასახელებული პროექტი მითქვამს და მოხსენებია, მაგრამ საქმე განყოფილების შეუძლებლობა გახლავსთ. ვაი-ვაგლახით, საწევრო გადასახადით, წელიწადში სამი საღამო-მეჯლისის გამართვით და სწავლის ფულის რამოდენიმე გროშებით უძლევა გამგეობა სკოლას. ხუმრობა არ არის თვეში 200—220 მან, ამიტომ მთავარ გამგეობასთუ მიჰმართავს განყოფილების გამგეობა, პასუხად მიიღებს: თუ თავი არა გქონდა, ნურც გახსნიდი სკოლასაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასობაში განყოფილების სკოლა ლონდრიალობს, და ბარაქალა მოთაჲეთ, რომ მოზარდ თაობას (იმათ მაინც, რომელნიც ძალა უნებურად ჩვენს სკოლას მოაწყდებიან ხოლმე). ქართულს მაინც მიაწვდის ისე, როგორც ეს არის საჭირო ჭეშმარიტ ქართველისათვის და არა სამინისტრო სკოლების მოტრფიალეთათვის. რაც შეეხება მასწავლებელთა უენერგიობას, ვერ დაგეთანხმები ვერც ამაში ბატონ რამიშვილს, ვითომ სამინისტრო სკოლებში მომსახურენი უფრო მეტ ენერგიის მქონენი იყვნენ. რა ღმერთი გაგვიწყრა, ამოდენა სკოლებში, ჩვენს ქართულ სკოლებში ერთი მაინც არ არის ენერგიით აღჭურვილი; რაღა სულ ბეჩავები შევყრილვართ!?

მართლა გულით უნდა უყვარდეს ქართველს ქართველობა, რომ ამ გაჭირვებულ დროს, როდესაც აუარებელი ადგილები იცლება, ოღონდ სურვილი იყოს, და რამდენიც გნებავთ იშოვნით ათასჯერ უკეთეს ადგილს, ვიდრე მასწავლებლის ადგილია ქართულ სკოლაში, ნივთიერადაც უზრუნველყოფისათვის, ზნეობრივ კმაყოფილებისათვისაც და სხვა, მაგრამ ჩვენი მასწავლებებლები 40 მანეთად თვეში მუშაობენ უფრო მეტს, ვიდრე სამინისტრო სკოლების მასწავლებლები 60 მანეთად თვეში.

ვერც ბატონ რევაზ გაბაშვილს და სხვათა დავეთანხმები: იყოს ორი სკოლა და კარგიო. რათა, ბატონო, განა ორი კარგად დაყენებული სკოლა იმდენს მოგიტანთ, რამდენსაც 30—40 ჩვენებურად დაყენებული სკოლა??

ჩვენი „უვარგისი“ სკოლა ქართულ წიგნს მაინც იმდენად შეაყვარებს ბავშს, რომ სწავლა-დამთავრებული გოგო-ბიჭები (დეე მარტო რვანი იყვნენ წელიწადში), თუ ყოველ კვირა არა, ყოველ თვე მაინც მოვლენ სკოლაში და მოგმართავენ: „მასწავლებელო, ერთი კარგი რამ მომეც წასაკითხად, აი „პატარა კახისთანა“ ან „კაკო ყაჩაღისთანა“-ო. განაეს ცოტაა?! არ ვიცი, ყველას თავისი საკუთარი აზრი და გემოვნება აქვს, მაგრამ მე ჩვენ სკოლაში ოთხ-წელიწად ნამყოფ ბავშვს უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე „კარგად“ დაყენებულ სამინისტრო სკოლის მოწაფეს, რომელიც თელავის ქუჩაზე რუსული ლაპარაკით დაიარება და დასუდანი“-ს გაიძახის.

**ნინო გოგნიაშვილისა.**

# სოფლად

II

**კახეთი.**

**26. ჩვენი სასწავლებლები და ქართულ ენის მდგომარეობა)**

(გაგრძელება)

**მცხეთის მონასტრის საქალებო სასწავლებელში** 114 მოწაფე სწავლობს, აშათში 7 რუსია და 1 სომეხი. ხუთ მასწავლებელში **ქართული ენის მასწავლებელი არცერთია.**

სახსარი სასწავლებლის არსებობისა არის: მოწაფეების სწავლის ფული, რომელიც ნახევარს არც კი შეაქვს და თავად-აზნაურთაგან ყოველწლიური დახმარებაც—1400 მან. რასაკვირველია, ამ დახმარებით და მოწაფეების კანტი-კუნტად შემოსული სწავლის ფულით ამდენი მოწაფეების შენახვა და მასწავლებლების დაკმაყოფილებაც შეუძლებელია და ეს სასწავლებელი დიდ გაჭირებას განიცდის.

მოწაფეების დღიური საზრდო იყო: დილით ჩაი, შუადღისას საუზმე, სადილზედ ორი თავი საჭმელი და საღამოზედ ჩაი. ეხლა კი მოაკლეს საუზმე და სადილზედ მეორე თავი საჭმელი, ასე რომ ერთ თავ საჭმელზედ არიან მოწაფეები და მასწავლებლები დღე და ღამეში; ხანდისხან კი ჩაიც არა აქვთ ხოლმე და მოწაფეები პირდაპირ შიმშილს განიცდიან. ერთმა მასწავლებელმა სთქვა: მრცხვენიან, თორემ ვიტირებდიო, რომ ასეთ გაჭირვებას განვიცდითო.

საეპარქიო სასწავლებლის საბჭომ წინადადება მისცა მცხეთის მონასტრის იღუმენიას: სკოლის შენობისათვის გაძლევთ 32,000 მან. შევადგენთ შენობის გეგმას, ავლნუსხავთ ხარჯს, სასწავლებელს დავაყენებთ გვარიანად, მხოლოდ ჩვენს განკარგულებაში უნდა გადმოსცეთო. ამაზედ იღუმენია ყოყმანობს, არც თანხმდება, მართალია, დიდ გაჭირებას განიცდის ეს სასწავლებელი, მაინც იღუმენიას არ უნდა, რომ სხვას ჩაუგდოს ხელში.

რომ შეუძლებელია მათ ხელში გადავიდეს, აი, ბოდბის მონასტრის სასწავლებელს მაგალითად მოვიყვანთ: ბოდბის მონასტრის იღუმენია ბრძანდება ვისოცკაია, მონაზვნები ითვლება ორასამდე, ყველანი რუსები არიან, მხოლოდ ორი ქართველი ურევია.

ამ მონასტერში შვიდ განყოფილებიანი სასწავლებელია, 12 მასწავლებელი ჰყავთ. ქართულ ენის მასწავლებელი არ არის; რადგან ქართული ენის სწავლა სავალდებულო არ არის, მხოლოდ როგორც საქველმოქმედო საგანს რიგ-რიგობით, ვინც კი ცოტათი წერა-კითხვა იცის, ასწავლიან უფასოდ.

ამ სასწავლებელში 180 მოწაფე ითვლება, ამათში ერთი-მეოთხედი რუსი იქნება, დანარჩენი ქართველები არიან.

ამ წელს სწავლა დაამთავრა 15-მა მოწაფემ, ამათში 5 რუსია. ქართველებს-კი თავის სამშობლო ენა დამახინჯებულად აქვთ შესწავლილი და შეგეცოდებათ, როდესაც მათ ლაპარაკს ყურს უგდებთ მშობლიურ ენაზე.

ამ ჩემი ზემორე მაგალითებიდან ჩანს, თითქოს სკოლებში ქართული ენის სწავლის მოსარჩლე არავინ იყოს.

არც ისეა საქმე!

თუ უმაღლეს წრეებში ვერა ვხედავთ, სამაგიეროთ დაბალ-ღარიბ ხალხში გვხდება ისეთი მასწავლებლები, რომლებიც იბრძვიან სამშობლო ენის სწავლის უფლების აღდგენისათვის.

**ხოვლეს ორკლასიან სამინისტრო სკოლას** მოვხდი. ამ სკოლის გამგეა და მასწავლებელი ალექსანდრა ხახიშვილისა. 22 წელიწადია მასწავლობლობს, ასწავლიდა საინგილოში, კავკავში და ბოლოს თავის სოფ. ხოვლეში დაბინავდა. გულმოდგინეთ ასრულებს თავის მოვალეობას.

მას ბევრჯელ მოსვლია სახალხო ინსპექტორებთან შეტაკება ქართული ენის სწავლის შესახებ, უმტკიცებდა მათ, რომ უდედაენოდ ბავშვები ვერც ერთ საგანს ვერ შეითვისებენო.

და ბოლოს თავისი გაიტანა, სამინისტრო სკოლაში ქართულ-ენას უპირველესი ადგილი უკავია.

სახალხო ინსპექტორმა რომ ვერა გააწყო-რა მასწავლებელ ა. ხახაშვილთან, რომელსაც დიდიხნის სამსახურის გამო ფულით ჯილდო ეკუთვნოდა, ჯილდო მოუსპო.

მხოლოთ ამითი დასაჯა, გადაყენებით კი ვერ გადააყენა.

აი ასეთი მებრძოლი მასწავლებლები გვჭირია.

**Legatus.**

# წერილი საინგილოდან

ფულების ვაჭხანალია არც ერთხელ არ მისულა იმ ზომამდე, სადამდისაც დღეს მივიდა საინგილოში. არას დროს თხილი, კაკალი, ბრინჯი და სხვა სანოვაგე არ გაყიდულა იმ ფასებში, რომელშიაც დღეს იყიდება. ბრინჯი, რომლის ფასიც სამს მანეთს არას დროს არ გასცილებია, დღეს 13 მანეთად იყიდება ფუთი; თხილი, რომელსაც ხშირად მყიდველიც კი არა ჰყავდა ხოლმე და ორმანეთ ნახევარზე ზევით არას დროს არ გაყიდულა, დღეს 10 მანეთად იყიდება. და ასევე და ამ გვარად ყოველივე და ყველაფერი. ამიტომ, როგორც სხვაგან, საინგილოშიც დიდძალი ფული დატრიალდა. ერთმა აქაურმა ლეკმა მითხრა: ჩვენს სოფელში ეხლა ბავშვიც კი არ არის, რომ ას მანეთიანი არ ედოს ჯიბეშიო და დღეს ის გლეხკაცი, რომელსაც გროშიც არ ედო ჯიბეში, ათასობითა ლაპარაკობსო. მანვე 500 მანეთიანი მომიტანა და შემეხვეწა, შენი ჭირიმე, მითხარი, ეს ვაჭარმა 500 მანეთად მომცა და მართალია, თუ არაო. წინად ამ გლეხკაცს 25 მანეთიანიც კი არ ენახა თვალით, არამც თუ 500 მანეთიანიო, დაამთავრა ლეკმა,

სამაგიეროთ ამავე დროს მოტანილი საქონელიც ძალზედ გაძვირდა, მეტადრე შაქარი და ჩითეულობა. შაქარი საცაღა გაჰქრა ერთიანად და არსად მისი ხსენება არ არის; რომ სანთლით ეძებოთ შაქარი, ვერ იშოვნით და თუ იშოვნევით, ისიც თერთმეტ-თორმეტ აბაზათ თუ იშოვნეთ გირვანქა, კარგი ქებაა. ასევე გახდა ჩითეულობაც, რომელიც თუმცა ბლომად მოიძებნება, მაგრამ იმასაც ცეცხლს უკიდებენ. ლამფის შუშა რა არის, იმის ფასიც კი მანეთამდის აიყვანეს ვაჭრებმა.

რასაკვირველია, ასეთს შემთხვევაში დიდს სამსახურს გაუწევდა ხალხს მომხმარებელი საზოგადოება, მაგრამ საუბედუროდ, მთელს საინგილოში ასეთი საზოგადოება მხოლოდ ორს ადგილას არსებობს, სახელდობრ—კახსა და ზაქათალში. კახის ამხანაგობა უწევდა და უწევს დიდს სამსახურს საზოგადოებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ზაქათლის საზოგადოებას სალათას ძილითა სძინავს. საკვირველება ის არის ამ უკანასკნელისა, რომ ფულიც მოეძებნებათ საკმარისი, ინტელიგენტური ძალაც არა ნაკლებ, მაგრამ ვერ იქნა და ვერა, ადგილიდგან ვერ დასძრეს იგი. საზოგადოება უკვე აპრილში შესდგა, ათასს მანეთამდის თანხა შესდგა, მაგრამ მაღაზიაში ცარიელა ტაროების მეტი არაფერი მოეძებნებათ. მათი დაკნინება იქამდისაც კი მივიდა, რომ საქონლის სასყიდლად გასაგზავნი კაციც კი ვერ უშოვნიათ. მაგრამ, უკაცრავად, ამ ცოტა ხანში ორი ტომარა თავი შაქარი მოუვიდათ, მაგრამ ერთი გირვანქაც არავის უნახავს, სულ მთლად გამგეობის წევრებმა, ექვსმა კაცმა, გაიყო ერთმანეთში შინაურულად, 2—3 ფუთი თითომ და დანარჩენი წევრები კი ხახა-მშრალი დასტოვეს.

საზოგადოდ აქეთკენ დიდი გაჭირვება და შიმშილობაა. პური ფუთი შვიდ მანეთადა ფასობს და მისი საშოვარიც ადარსად არის. სიმინდის ფასმა უკვე ოთხ მანეთს მიაღწია. მიმოსვლა საშინლად გაძვირდა: საცა წინად ორ მანეთს იღებდნენ, ეხლა რვა მანეთი გახდა. ერთის სიტყვით, ყველაფერს მამასისხლად ჰყიდიან და ყველა ამას დასასრული არ უჩანს. ამ საერთო გაჭირვების დროს სოფლებში გამოიგონეს ხის ფეხსაცმელი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შინამრეწველობის ნაწარმოებია, მეტად მოხერხებულია და გამძლე. პირველი ინიციატორი ამ საქმეში სოფელი ყუმი იყო, მათ პირველად რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი გააკეთეს, რომელმაც საჩქაროდ ადგილობრივ ბაზრის ყურადღება მიიქცია. წყვილი ამ ფეხსაცმლისა სამ მანეთად იყიდება და ამბობენ, წელიწადნახევარს გასძლებსო.

ამ საერთო გაჭირვების დროს, ხალხი მეტის-მეტად საგონებელში არის ჩავარდნილი უექიმობის გამო. ჩვეულებრივ დროს, საინგილოში სამი ექიმი არის ხოლმე, მაგრამ ეხლა ერთად-ერთი ექიმი ძლივსღა დარჩა, რომელიც, აბა, სად გასწვდება ამოდენა ოლქს. ამის გამოა, რომ ვინც არ გინდა ექიმობს. დერციკმა თავისს ხელობას თავი დაანება და ექიმობას მიჰყო ხელი, დალაქმაც სადალაქო დაჰკეტა და ხალხს მკურნალად მოევლინა. კიდევ ვინ იცის, ვინ არ დაიწყო ექიმობა და ხალხის ტყავის ძრობა. მაგრამ ყველაზედ უფრო თავხედურათა ჰყვლეფს ხალხს ერთი თათარი, რომელსაც კარგა ხანია შუა ბაზარში აქვს გახსნილი სამკურნალო და თავისს ნებაზედ ჰკრეჭს ხალხს. ამ დალოცვილმა ექიმმა ამ ზაფხულს კინაღამ ერთი სოფლის მასწავლებელი არ ანაცვალა წუთისოფელს. ასეთს ოინბაზობას სჩადიან ყველანი, ვისაც არ ეზარება ხალხის ყვლეფა და მოტყუება და საუბედუროდ, პატრონი და მშველელი კი არავინა ჰყავს ხალხსა.

**ზ. ედილი.**

# დაბა-სოფლეში

**დ. ხაშური.** 18 ქრისტეშობისთვეს ზემო ჰალის სკოლის შენობაში შესდგა თბ. გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის ხაშურის განყოფილების კრება. კრებას დაესწრო 30 კაცამდე. კავშირის წესდების გაცნობა-განხილვის შემდეგ, კრება შეეხო სახალხო მასწავლებლების დღევანდელ უმწეო მდგომარეობას დ დაადგინა ეთხოვოს ცენტრალურ განყოფილებას აღძრას შუამდგომლობა რათა მასწავლებელთ მიემატოს ჯამაგირი და ამასთანავე, რაც შეიძლება ადრე, მიეცესთ დღიური. კრებაზე არჩეულ იქმნა გამგეობა და სარევიზიო კამისია. არჩეულ გამგეობას დაევალა წარადგინოს ცენტრალურ განყოფილებაში თავისი მოსაზრებანი ზაფხულისათვის განზრახულ საპედაგოგიო კურსების ხასიათის და ამასთანავე საჭირო ლექტორის მოწვევის შესახებ. კავშირის წევრებს დაევალა, რაც შეიძლება მეტი ენერგია გამოიჩინონ მუშაობაში და მეტი წევრი და დამხმარე პირნი შეიძინონ. ზაფხულისათვის განზრახულია დაიდგას წარმოდგენები ხაშურსა, სურამსა და ბორჯომში ხაშურის განყოფილების თანხის გასაძლიერებლად.

სავაჭო გიმნაზიის მოწაფენი საშობაოთ 20-ს დაითხოვეს. გიმნაზიის ახალი შენობა უკვე მოთავდა და იანვრიდან სწავლა იქ დაიწყება. რადგანაც აქაური გიმნაზიელები, სხვა ქალაქებთან შედარებით, საჭმელ-სასმელის მხრივ უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან, გიმნაზიის გამგეს ბ-ნ ა. მ. მდივანს გადაუწყვეტია გიმნაზიასთან მოაწყოს სასადილო, საიდანაც მოწაფეთ მიეცემა, რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში თბილი საუზმე ჩაი და სხვ. ეს ფრიად სიმპატიური და სასარგებლო განზრახვაა და ადგილობრივი მშობელთა წრე მოვალეა ხელი შეუწყოს და ყოველგვარი დახმარება გაუწიოს ბ-ნ გამგეს.

ხაშურის კოოპერატივმა მიიღო ფხვნილი შაქარი და თავისს წევრთ ურიგებს ორ-ორ გირვანქას.

ხაშურის ქუჩებში ეს სამი კვირაა ისეთი გაუვალი ტალახი სდგას, რომ სახლიდან გარედ გამოსვლა თითქმის შეუძლებელია.

# წერილი რედ. მიმართ

მ. ხ., ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ თქვენს გაზეთ „საქართველოს“ № 284 მოთავსებულ ცნობების ს. ავჭალის საზ. მომხ. დუქნის შესახებ და სხ. ავტორი მე არა ვარ*).

**მღ. ნიკიფორე კანდელაკი.**

*) რედაქცია ამოწმებს, რომ „საქართველოს“ № 284 ნომერში ავჭალიდან მოწოდებულ წერილის ავტორი მამა ნიკ. კანდელაკი არ არის.

რედაქტორ-გამომცემელი

**ხანდრო შანშიაშვილი**

# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3,20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, . 6 „ | 24 „ | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

# სუსუნატი

ვისაც სურს ერთხელ და სამუდამოდ განიკურნოს იმ ავადმყოფობისაგან მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი თავიდან მოშორება შეიძლება **ხუხუნატის** წამლით პირველ-ხარისხოვანი **„გონოზანით“**. ეს წამალი სულ რამდენიმე დღეში ჰკურნავს დაძველებულ სუსუნატს. საშუალება **ნაცადია ტფილისის, რუსეთისა და საზღვარგარეთელ ექიმებისა და პროფესორების** მიერ და აღიარებულია საუკეთესო წამლად სუსუნატის მოსარჩენად.

**ჩვენი გარანტია.**

თუ თქვენთვის ეს **საძნელო არ იქნება, გთხოვთ შეეკითხოთ რომელსაც გსურთ ექიმს** ჩვენს აბებზე და ის აუცილებლად აგიხსნით, რომ ეს აბები საუკეთესო და რადიკალური საშუალებაა. საშუალება ერთნაირად ნაცადია მამაკაცებზეც და ქალებზეც. მაშ, ნუ ხარჯავთ დიდ ფულს უშედეგო წამლობაზე, რადგანაც 3 კოლოფი და სამი შუშხაპუნებით რომელიც წამალთან არის ერთად, სავსებით ჰკურნავს ავადმყოფს ამ მძიმე სენისაგან.

ერთი კოლოფი აბებისა ღირს 4 მან. და 3 შუშა შეშხაპუნებული ღირს ცხრა მან. სხვა ქალაქებში გაიგზავნება 3 მანეთის მიღების შემდგომ.

მიწერ-მოწერა და წამლის დაკვეთა შეიძლება მხოლოდ **რ. შმიდტ** თბილისი, თხინვალის ქუჩა № 12 განყ. 3. მახლობლივ გოლოვინის პროსპექტისა და მეჯავის ქუჩის.

Р. Шмидтъ, Тифлисъ, Тхинвалская ул. № 12 отд. 3.

პირადად ნახვა შეიძლება 2—5 საათამდე. წამალი იყიდება მთელი დღე. —300—

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლის

იუმორისტულ ჟურნალ

# „ეშმაკის მათრახ“-ზე

ფასი მთელი წლით: 7 მან. ნახევარი წლით 4 მ. სამი თვით 2 მან. თვეში 70 კ. ვისაც უნდა ჟურნალი 1 იანვრიდან მიიღოს, ფული ეხლავე უნდა გამოგზავნოს შემდეგის მისამართით: თბილისი, ფოსტის ყუთი № 96, სილ. თავართქილაძეს. (უ.)

საუკეთესო, თავანკარა

# კახური ღვინო

მოიკითხეთ სარდაფში

# „ზ ვ ა რ ი“

პატივისცემით ე. ნ. ეზოროვი და ნ. მ. ხაცაშვილი.

**თბილისი:** ცერკოვნი ქუჩა № 1 (ვორონცოვის ძეგლიდან მიხეილის ქუჩის პირველ მისახვევში, მარჯვნივ). (თვ.)

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის:

სათეატრო-სალიტერატურო, სამხატვრო კვირეული ჟურნალი

# თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ორ პრემიას

**აკაკის** „ნაკვესები და ბრძნული სიტყვები“ ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჭ. ლომთათიძის** „რჩეული აზრები“ ავტორის სურათით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

**ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულებისაა.**

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დამსახურებული და ახალგაზდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, მხატვრები.

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღირს 8 მან. ნახევარის წლით 4 მან. 50 კაპ. თითო ნომერი ყველგან 15 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ მაისამდე—3 მ. პირველ ენკენისთვემდე 2 მან.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნას“ სტამბის კანტორაში (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის მიმამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Іосифу Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა.

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# კომერციულ ცოდნათა

## კურსები

# ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(თბილისი, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976)

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

(20—340—3)

# ძირს ტანჯვა, ძირს საერთო სისუსტე, ძირს სქესობრივი უძლურება!

გურჩევთ ყველას, ვინც საერთო სისუსტეს გრძნობს, სქესობრივად უძლურია—შეიძინოს ახლად გამოგონილი საშუალება პილულები **მოლეციტინი** (დასალევი) ნებადართულია მთავარ სამედიცინო საბჭოსაგან № 801.

— **მოლეციტინი** საშუალებაა სისხლ-ნაკლებობისათვის, უმადობისათვის, რახიტის, ნევრასტენიის, ცენტრალურ ნერვთა სისტემის ანთების წინააღმდეგ.

— **მოლეციტინი** მოწონებულია ბევრ ექიმისაგან, როგორც აღმადგენელი ორგანიზმისა და ავადმყოფის გამომბრუნებელი.

— **მოლეციტინი** უვნებელი საშუალებაა და ჰრგებს არა მარტო ავადმყოფობის დასაწყისს, არამედ ავადმყოფობის გაარჯლების შემდეგაც.

— **მოლეციტინი** მშვენივრად მოქმედებს ვერცხლის წყალით და სხვა პრეპარატებით სიფილისის წამლობის დროს დაუძლურებულებზე. აღადგენს ძალას, მადას ჰმატებს, ნერვებს ამშვიდებს, ტეხას და წელის ტკივილს სპობს.

— **მოლეციტინი** სპობს უძილობას, ყრუობას, ყურებში წივილს, ნევრალგიურ ტკივილებს, სუნთქვის შეკვრას, აჩერებს თმის ცვენას.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ნერვების აშლილობაზე საზოგადოდ და უმთავრესად ქალების ავადმყოფობაზე..

— **მოლეციტინი** ჰრგებს აგრეთვე სპაზმოფილის ასტმატიურ მოვლენების დროს და საზოგადოდ ნერვიულ ავადმყოფობის დროსა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს აგრეთვე ქალების თვიურების მოსპობის დროს და ანელებს გულის ფრიალს, თავსბრუ ხვევას, ოფლიანობას უძილობას.

— **მოლეციტინი** ჰშველის ორსულობის დროს, სპობს უგუნებობას (რაიც ძლიერ ხშირია) და გულის რევასა.

— **მოლეციტინი** კარგად მოქმედებს ონანისტებსა და სქესობრივად უძლურებზედ.

— **მოლეციტინი** მარგებელია როგორც დიდებისათვის, ისე ბავშვებისათვის.

— **მოლეციტინი** ჩქარა იკარგება ორგანიზმში და არ მოქმედებს კუჭზე.

— **მოლეციტინი** ძლიერ ადვილი სახმარი წამალია, ყველას შეუძლიან დამოუკიდებლად იწამლოს ყველგან, სადაც უნდა იყოს.

**თითო კოლოფის ფასი 3 მან.** სრული კურსი წამლობისა საჭიროებს 5-დან 10 კოლოფამდე. იგზავნება ფასდადებით 5 მან. ზეის მიღების შემდეგ.

შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ **რ. ი. შმიდტთან.** Тифлисъ, Тхинвальская ул. № 12 отд. 3. თხინვალის ქუჩა № 12. მე-2 საპ. უბანი გოლოვინის პროსპ. მამადავითის ქუჩის ახლოს.

(თ.)

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4